ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 61

ქ. თბილისი 23.04.2012 წ.

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი ნანა ნაკაშიძის სახით და, მეორე მხრივ, ა.ა.ი.პ. „ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“ ს/კ 412677269 (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი მისი გაერთიანების მმართველი დავით აბულაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის დიზელის (PPM-50- ზე ნაკლები) და რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91, ევრო 3 სტანდარტი) ნასყიდობა.

3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის დიზელს (PPM-50-ზე ნაკლები) 4000 ლიტრის და რეგულარს (ოქტანობა არანაკლებ 91, ევრო 3 სტანდარტი) 4350 ლიტრის ოდენობით.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 5 (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით .

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებით. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, საწვავის ფასის გადახდიდან 3 დღის ვადაში.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვახორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ა.ა.ი.პ. „ქ. ქუთაისის მერიის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“
საიდენტიფიკაციო კოდი: 412677269
ბანკი: სს „ვითიბი ბანკი“
ბანკის კოდი:UGEBGE22
ანგარიში# GE95VT0500000004443408

გაერთიანების მმართველი
დავით აბულაძე

მიმწოდებელი

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154
საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136
ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: BAGAGE22ანგარიშის # GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიში # GE05TB7538836020100001

წარმომადგენელი
ნანა ნაკაშიძე

SPG